


16 თებერვალს სსიპ-საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ჩატარდა 2022 წლის პირველი სემინარი თემაზე: “მზის ატმოსფეროში მასიური კორონული წვიმით გამოწვეული პროტუბერანცის არამდგრადობა და კორონული მასის ამოფრქვევა”. მოხსენება წარმოადგინა ობსერვატორიის ასისტენტ-მკვლევარმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა **ზურაბ ვაშალომიძემ**. სემინარს ZOOM-ის მეშვეობით ესწრებოდა ობსერვატორიის დაახლოებით 30 მეცნიერ-თანამშრომელი. მოხსენებამ დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია რაც მრავალობით კითხვა-პასუხში და საკითხზე მსჯელობაში გამოიხატა. ახალგაზრდა მომხსენებელს მეცნიერებაში წარმატებული ნაბიჯები მიულოცეს და მომავალი წარმატებები უსურვეს. ობსერვატორიის ადმინისტრაცია ულოცავს ახალგაზრდა მეცნიერს ამ წარმატებას.

მოხსენების ანოტაცია:

მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალ „Astronomy & Astrophysics - ში გამოქვეყნებულ ნაშრომში ავტორებმა 2011-2012 წლებში მზეზე მომხდარი სამი სხვადასხვა ამოფრქვევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაასკვნეს რომ მზის კორონული მასის ამოფრქვევის მიზეზს წარმოადგენს მზის წვიმა, რომელიც სამივე შემთხვევაში წინ უსწრებდა აღნიშნულ ამოფრქვევას, რაც თავის მხრივ უმნიშვნელოვანესი ფაქტია კოსმოსური ამინდის პროგნოზირების თვალსაზრისით.



სრული სტატიის სანახავად შეგიძლიათ შებრძანდეთ აღნიშნულ ბმულზე:
<https://ui.adsabs.harvard.edu/abs/2022A%26A...658A..18V/abstract>